საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაღლუჯის ნამარხი ფაუნა

იაღლუჯის ნამარხი ფაუნა (Iagluja Fossil Fauna), ნამარხ ძუძუმწოვართა ფაუნა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, იაღლუჯის მაღლობის აღმ. ნაწილში ქ. რუსთავის პირისპირ ეროზიულ ხევში.

ხევში გაშიშვლებული ნეოგენური (მეოტიდს-პონტოური) ნალექი შეიცავს ნამარხ ძუძუმწოვართა ფაუნას, რ-ის შემადგენლობაში აღმოჩენილია ხმალკბილა ვეფხვის, მასტოდონტის, სამთითა ცხენის – ჰიპარიონის, მარტორქის, ჟირაფის, გრეხილრქიანი ანტილოპებისა და ფრინველების ნაშთები.

ი. ნ. ფ-ს დიდი სამეცნ. ღირებულება აქვს. მსგავსი პალეოზოოლოგიური ძეგლი მსოფლიოში სულ რამდენიმეა.

ლიტ.: საქართველოს წითელი წიგნი თბ., 1982.